დიდება უკრაინას! დიდება გმირებს!

ხაშურის მოამბე

№7(331) 7 მარტი, ორშაბათი, 2022 წელი

გილოცავთ ულამაზეს დღესასწაულს!

ქალბატონებო, გილოცავთ ქალთა ულამაზეს დღესასწაულს: ქალთა საერთაშორისო დღეს - 8 მარტს!

ქალი - დედამიწის უმშვენიერესი ქმნილება!

ქალი- სუსტი, მაგრამ ძლიერი!

ქალი - გონიერი, რაციონალური, აქტიური!

ქალი - დედა, საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი.

ქალები, მამაკაცებთან ერთად, ქმნიდნენ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას. დღეს, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სფეროში, უამრავი წარმატებული ქალია,რაც ჩვენი ქვეყნის ძლიერების საწინდარია.

განსაკუთრებით მოვეფერები ჩვენს უფროს თაობას,მრავალშვილიან დედებს და სოციალურად დაუცველ ქალებს.

გისურვებთ,რომ თქვენი ეკონომიკური შესაძლებლობები ყოფილიყოს თანხვედრაში თქვენს სურვილებთან,საკუთარი ოჯახების,შვილებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ!

სიყვარულითა და პატივისცემით,

ზაალ (ზაზა) დუგლაძე,
საქართველოს პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი

ხაშურის მუნიციპალიტეტმა დამეგობრებული უკრაინული ქალაქებისთვის ჰუმანიტარული დახმარებას გაწევა დაიწყო

მეგობარი უკრაინული ქალაქების დასახმარებლად,მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები გათვალისწინებული იქნება უკრაინელი ხალხისთვის.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა და მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა აქციაში ჩართვისკენ მოუწოდეს სამოქალაქო საზოგადოებას, ბიზნესს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ყველა მოქალაქეს.

შემოწირულობის მოტანა შესაძლებელია ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, პირველ სართულზე.

<u>გავერთიანდეთ უკრაინისთვის.</u>

ძვირფასო ქალბატონებო, უდიდესი პატივისცემით გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს!

ჩვენდა საამაყოდ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში, ისტორიულად, ყოველთვის დაფასებული იყო ქალის როლი საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება.

გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, წარმატებას, სიყვარულითა და სიკეთით სავსე ცხოვრებას. აგხდენოდეთ ოცნებები და მშვიდობიან და ერთიან საქართველოში გეცხოვროთ.

პატივისცემით,

თენგიზ ჩიტიაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

ძვირფასო ქალბატონებო!

მინდა, ჩვენი პატარა ქალაქიდან ხმა მივაწვდინო მსოფლიოს ქალთა საზოგადოებას, მივულოცო გაზაფხულის ულამაზესი დღესასწაული - 8 მარტი და შევახსენო, რაოდენ დიდი და განუსაზღვრელია მათი როლი საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათი ხმა მშვიდობის, თანასწორობის, სოლიდარობის საკითხებში! მინდა, ყველა ქალი, განურჩევლად ეროვნებისა, გეოგრაფიული მდებარეობისა, რელიგიური აღმსარებლობისა თუ სოციალური სტატუსისა, ბედნიერი იყოს, ჰქონდეს შესაძლებლობა განათლების, განვითარების, ოჯახის და ქვეყნის სასარგებლო საქმიანობის!

მშვიდობა ვახსენე, მინდა, მშვიდობა ვუსურვო სრულიად სამყაროს და უმშვენერიესი სქესის წარმომადგენლებს, ჩემ ხაშურელ, განსაკუთრებით საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრებ ქალბატონებს, სიმტკიცე, გამძლეობა მათ, ეხაროს თითოეულ თქვენგანს ოჯახის, შვილების, სახელმწიფოს კეთილდღეობით, უფალი იყოს თქვენი შემწე და მფარველი!

სიყვარულით და პატივისცემით,

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილება №8

2022 წლის 24 თებერვალი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დადგინდეს ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. დამტკიცდეს ქ. ხაშურის ტერიტორიის ზონირება დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობა დანართი №3-ის შესაბამისად.

მუხლი 4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის № 4 დადგენილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“

მუხლი 5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

(რედაქციისაგან: აღნიშნული დადგენილების დანართები შეგიძლიათ იხილოთ საკრებულოს ვებგვერდზე).

საკრებულოს თავმჯდომარის

პირველი მოადგილე ლევან გამრეკელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №17

2022 წლის 24 თებერვალი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხაშურისთვის“ დაფუძნებისა და ფრაქციის თანამდებობის პირების უფლებამოსილების განხორციელების ცნობად მიღების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2022 წლის 1 თებერვალს, მომართეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა: ირინე გელაშვილმა (ფრაქციის თავმჯდომარე, არჩეულია „საქართველოსთვის“ პარტიის წარდგინებით) ომარ ლომიძემ (ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, არჩეულია „ლელო“ პარტიის წარდგინებით) და შოთა კურტანიძემ (ფრაქციის წევრი, არჩეულია „საქართველოსთვის“ პარტიის წარდგინებით), რომლებმაც მოთხოვეს ფრაქცია „ხაშურისთვის“ რეგისტრაცია და წარმოადგინეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით“ გათვალისწინებული დოკუმენტაცია (განცხადება, 2022 წლის 31 იანვრის ფრაქციის სხდომის ოქმი 1, ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და ფრაქციის წესდება), რაც ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნის მიხედვით შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკრებულო ადგენს:

1. ცნობად იქნეს მიღებული ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხაშურისთვის“-ს დაფუძნება 2022 წლის 31 იანვრიდან.

2. განხორციელდეს ფრაქცია „ხაშურისთვის“ მიერ არჩეული თავმჯდომარის ირინე გელაშვილის უფლებამოსილება 2022 წლის 31 იანვრიდან და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 2200 (ორი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. განხორციელდეს ფრაქცია „ხაშურისთვის“ მიერ არჩეული თავმჯდომარის მოადგილის ომარ ლომიძის უფლებამოსილება 2022 წლის 31 იანვრიდან და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1 760 (ერთი ათას შვიდასსამოცი) ლარის ოდენობით.

4. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;

5. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge

7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარის

პირველი მოადგილე ლევან გამრეკელი

მუნიციპალიტეტში, დღეისათის, 18 საბავშვო ბაღიდან 17 სრულად ფუნქციონირებს

სულ ცოტა ხნის წინ, ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის ვაკანტური პოზიცია, ლელა გელაშვილმა დაიკავა. ლელა 2019 წლიდან არის განათლების სამინისტროს წარმომადგენელი სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით. თუ რა გამოწვევები დახვდა, რისი განხორციელება მიმდინარეობს და რა სამომავლო გეგმები აქვს, ამაზე, ინტერვიუდან შეიტყობთ:

–პირველ რიგში, გილოცავთ ამ საპასუხისმგებლო და ამავდროულად, ძალიან სასიამოვნო პოზიციას. როგორი მემკვიდრეობა დაგხვდათ, რამდენად საპასუხისმგებლო სამსახურია თქვენთვის?

–სკოლამდელი აღზრდის და განათლების სწორი პლატფორმა ,ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს სწორი წყობისათვის, შესაბამისად, აღნიშნულ სფეროში მოღვაწეობა ძალზედ საპასუხისმგებლო და სენსიტიური საკითხია. ზოგადად, განათლების სფეროში 22 წლიანი სამუშაო გამოცდილება მაქვს, უშუალოდ სკოლამდელი განათლების მიმართულებით, ამ პოზიციაზე დანიშვნამდე 2 წლის განმავლობაში ვმუშაობდი ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრში სკოლამდელი განათლების სპეციალისტის პოზოციაზე.

–რაიმე ცვლილებები ხომ არაა, საკანონმდებლო კუთხით?

–რაც შეეხება საკანონმდებლო მიმართულებით ცვლილებებს, გეტყვით რომ 2022 წლიდან იწყება ბაღების ავტორიზაციის საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი, რომელიც 2030 წლამდე გაგრძელდება და ითვალისწინების მთელი რიგი სამუშაოების ჩატარებას.

–შიდარეორგანიზაცია ხომ არ განხორციელდა, ან იგეგმება?

–რაც შეეხება რეორგანიზაციას,ამ ეტაპზე არ ვაპირებთ ძირეულ ცვლილებებს, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს ცვლილებები.

–ბაღების შინაგანაწესში ცვლილებები ხომ არაა?

რაც შეეხება შინაგანაწესის ცვლილებას,კოვიდ პანდემიის გამო,რეგულაციები დაგვემატა, თუმცა, სხვა ძირეული ცვლილებები არ განხორციელებულა.

–როგორია მიმდინარე ეპიდ. მდგომარეობა, თუა რაიმე დამატებითი რეგულაცია ან ცვლილება?

–ამჟამად, ეპიდ-მდგომარეობა შედარებით საიმედოა,გამომდინარე იქიდან,რომ ყველა ბაღი ფუნქციონირებს,გარდა №7 ბაღისა (ტექნიკური პრობლემების გამო, რომელიც რამდენიმე დღეში აღმოიფხვრება). ბავშვთა დასწრების მაჩვენებელი შედარებით გაუმჯობესდა, თუმცა, 100%-იანი დასწრება ჯერ კიდევ არ გვაქვს, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ მარტის თვეში ეს მონაცემები გაუმჯობესდება.

–დღეისათვის, რამდენი ბაღი ფუნქციონირებს სრულყოფილად?

–როგორც აღვნიშნე, 18 ბაღიდან 17 ფუნქციონირებს ჩვეულ რეჟიმში, ერთ ბაღში (7 ბაღში) მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები, რომელიც სულ რამდენიმე დღეში დასრულდება.

–ბაღების რეაბილიტაცია თუ მიმდინარეობს,რა სიახლეები გვაქვს ამ კუთხით?

(დასასრული VI გვერდზე)

-- სოფლის მეურნეობა --

აქტიურად გამოვიყენოთ ვაზის შესაძლებლობები

ის ფაქტი,რომ საქართველო ვაზის კულტურის ერთ-ერთი ძირითადი სამშობლოა, თვალნათლივ ადასტურებს ქართველი ერის მეტად მდიდარი ისტორიული პალეონტოლოგიური და ლინგვისტური მასალები.

მსოფლიოში ცნობილი 4 ათასამდე ვაზის ჯიშიდან 600-მდე სწორედ საქართველოშია გავრცელებული. და სწორედ ქართველი კაცის გონივრული ჩარევით, მრავალი საუკუნის მანძილზე, დაიხვეწა და ჩამოყალიბდა ვაზის უხვმსხმოიარე ყინვა და გვალვა გამძლე, შაქრიანობით გამორჩეული ჯიშები.

ვაზის კულტურის ასორტიმენტი მნიშვნელოვნად გაიზარდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ქართველ მეცნიერთა (დ. ტაბიძე, კ. ქანთარია, მ. რამიშვილი, ნ.ჩახნაშვილი) ნაყოფიერი მუშაობის შედეგად გამოიყვანეს ვაზის ახალი ჯიშები, ქართული საადრეო, ქართული თითა, სახალხო თეთრი, ქართული მუსკატი, თბილისური, მუსკატური, რქაწითელი, სოლომონი, მეგობრობა, ივერია, ვარძია, საიუბილეო და მრავალი სხვა.

აღსანიშნავია, რომ უნიკალური და მეტად პოპულარული ვაზის ჯიშები: რქაწითელი და საფერავი შეტანილია მსოფლიო ქვეყნების სტანდარტულ ასორტიმენტში.

ქართველი მეცნიერების ვ. ლოლაძის და ნ. ტოგონიძის მიერ გამოვლენილი და შესწავლილი იქნა ვარდისფერი, რქაწითელის, ჩინურის (ჩინებული) გორული მწვანის, პინოს და ალიგოტეს უხვმოსავლიანი კლონები,რომლებიც წარმატებით ინერგებოდა და ინერგება წარმოებაში.

აღნიშნული შესწავლის შემდეგ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას იმის შესახებ,თუ მეღვინეობა რატომ იყო, არის და ვფიქრობთ, მომავალშიც იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი და წამყვანი დარგი.

აღნიშნულ წერილზე მუშაობა იმანაც მიბიძგა, რომ მრავალ ისტორიულ მასალაზე მუშაობისას, განსაკუთრებით შიდა ქართლის ისტორიის შესწავლისას, არაერთ მნიშვნელოვან ისტორიულ ინფორმაციას და მასალას გავცნობივარ, სადაც, მრავალ ფაქტზე დაყრდნობით, აღწერილია საქართველოს ამ უძველეს და ულამაზეს მხარეში თუ როგორ დიდ ყურადღებას უთმობდნენ ვაზის მრავალფეროვანი ჯიშების მოშენებას და ღვინის დაყენებას.

ზემოაღნიშნულის დასტურად საკმარისია თუნდაც ის ძველისძველი ქვევრები და მარნები, რომლებიც შემორჩენილია მთლიანად მხარეში შემავალ მუნიციპალიტეტებში და კონკრეტულად ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა - სოფლებში.

ჯერ კიდევ მე-6 საუკუნეში გამოჩენილი ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი წერდა, რომ ქართველები შრომისმოყვარენი არიან, მათ ბევრი ვენახი აქვთ და თავიანთი ღვინო სხვადასხვა ქვეყნებში მიაქვთ გასაყიდად.

მევენახეობის და მეღვინეობის ფართო არსებობაზე მეტყველებს არქეოლოგიურად მიკვლეული ნივთიერი მასალა,რომელთა მიხედვითაც აღნიშნულ დარგს მისდევდა მდინარე მტკვრისპირა სოფლის მოსახლეობა.

1672 წელს შემოდგომაზე, ქართლსა და მესხეთს სტუმრობდა ცნობილი ფრანგი მოგზაური და ნეგოელიანტი ჟან შარდენი. მან აღფრთოვანებული სტრიქონები მიუძღვნა ამ მხარეების ბუნებას, ბარაქიან ქართულ მიწას და სტუმართმოყვარე მოსახლეობას. აღსანიშნავია, რომ მოგზაურის სტუმრობა რთველს დაემთხვა და ამის გამო გაკვირვებული წერს: სოფლებში რთველი იყო. შესანიშნავი მეჩვენა ყურძენი,ახალი და ძველი ღვინო. ღვინო აქ ისეთი იაფი ღირს, რომ ზოგ ადგილას სამ გირვანქას ერთ ეკიუდ ყიდიან.“

მდინარე მტკვრის პირა სოფლების მევენახეობაზე წერს თავის გეოგრაფიაში ვახუშტი ბატონიშვილი.

მევენახეობის განვითარების მხარეში გაცილებით მეტი ყურადღება მიექცა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა მთავარ ადგილებში გაშენდა სახელმწიფო სექტორის ვენახები.

როგორც ცნობილია, ხაშურის რაიონში შექმნილი იყო ალის მევენახეობის მეურნეობა და წაღვლის მეხილეობა-მევენახეობის მეურნეობა.

ვაზი გაშენებული იყო ს. ტაშისკრის და ს. ქვიშხეთის, აგრეთვე ს. ტეზრის,დ. სურამის, ხცისის სავარგულებში. ვაზის კულტურას არც სხვა სოფლების მოსახლეობა უყურებდა ამრეზით, მეტ-ნაკლებად ყველგან აშენებდნენ მათთვის მისაღებ კულტურებსა და ჯიშებს.

საქმე ისაა, რომ მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში ვაზის კულტურას, მის მოვლა-პატრონობას გარკვეული მიზეზების გამო, ნაკლები ყურადღება ექცევა,რაც დამაკნინებელია არამარტო თითოეული ოჯახისათვის, არამედ სოფლისათვის თუ მთლიანად რაიონისათვის.

თუკი მესხეთ-ჯავახეთში ქვაღორღიან და დამრეც ფართობებზე ჯერ კიდევ საუკუნეების წინ, სხვადასხვა ჯიშის ვაზს აშენებდნენ და კარგ მოსავალსაც მოიწევდნენ, რატომ ინტენსიურად არ უნდა ვითარდებოდეს აღნიშნული დარგი გაცილებით ნოყიერ და სარწყავი წყლით უზრუნველყოფილ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში?

თუ კარგად დავაკვირდებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში მცირე ბიზნესის განვითარებას კარგად ეწყობა ხელი, ეს ფაქტი თავისთავად დადებითი მოვლენაა და წასახალისებელიცაა,მაგრამ ისმის კითხვა, განა ჩვენი წინაპარი ასე ანებივრებდა ნოყიერ მიწებს, როგორც ეს ხაშურის მუნიციპალიტეტში ხდება?! საავტომობილო გზის ორივე მხარეს, ქვიშხეთისა და გომის მიმართულებით, საკმაოდ ნოყიერი მიწების დიდი ნაწილი ეთმობა ავტოგასამართი სადგურების, პროფილაქტიკების, სასაუზმეების მშენებლობას. იქ, სადაც შესაძლებელი იყო ხორბლის, შვრიისა და ბოსტნეული კულტურების მოყვანა, ხეხილის ბაღების, ვენახების გაშენება. ფაქტობრივად თითქმის აღარაფერი მოყავთ, არ მუშავდება მიწები. მერე გვიკვირს, ხაშურის მშვენიერ აგრობაზარში რატომ ჭარბობს თურქული წარმოების კარტოფილი,სტაფილო,პომიდორი, კიტრი თუ სოფლის სხვა პროდუქტები, რომლებიც ეკოლოგიურად არც თუ საიმედოა.

აღარაფერს ვამბობთ მევენახეობის და მეხილეობის განვითარებაზე, თუკი პრიმიტიული სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, რამდენიმე საუკუნის წინ, ყურძნის რამდენიმე ჯიშის უხვი მოსავალი მოჰყავდათ, რატომ უნდა გადავაშენოთ ტრადიციული და აღიარებული ვაზის ჯიშები? - როცა თანამედროვე მანქანა-იარაღებით გაცილებით მეტი მიწის დამუშავებაც შეიძლება და მეტი მოსავლის მიღების შესაძლებლობაც არის.

განა ქართული სუფრა ვინმეს ქართული ღვინის გარეშე წარმოუდგენია? მარკეტებში ქართველი მომხმარებლისთვის საკმაოდ მაღალ ფასებში იყიდება ბოთლებში ჩამოსხმული ღვინო. ეს მაშინ, როცა შენი ხელით გახარებული და მოვლილი ვაზი გაცილებით მეტი და უკეთესი ხარისხის ყურძნის მოყვანის და ღვინის დაყენების შესაძლებლობას იძლევა.

მევენახეობის განვითარების კარგ მაგალითს იძლევიან ჩვენს მეზობელ მხარეში, მესხეთ-ჯავახეთში, სადაც გაცილებით მწირ და მიუდგომელ ადგილებში აღადგინეს ვაზის ძველი და ტრადიციული ჯიშები მთიან და ფერდობ ადგილებში დაუბრუნდნენ ტერასების მოწყობის პრაქტიკას და შესანიშნავ შედეგებსაც აღწევენ.

ხაშურში,სოფლებში რა თქმა უნდა, აქვთ ვენახები,მაღლარები,მაგრამ მათი დიდი ნაწილი გადაბერებული ან სრულიად მოუვლელია, ზოგან მაღლარებზე ყურძენი დღესაც მოუკრეფავია და ა.შ.

ვფიქრობ,ქართველმა კაცმა არ უნდა დაივიწყოს სოფლის მეურნეობის აღნიშნული დარგი და მართალია დიდი შრომის ჩადებით, მაგრამ ყურძნის მოსავლიანობის გაზრდით, ახალი ჯიშების გაშენებით ბევრად უკეთეს ეკონომიკურ პირობებში აღმოჩნდება დღევანდელი სოფლის მაცხოვრებელი, ვიდრე უსაქმურობით და ჩარჩ-ვაჭრობით.

ერიც და ბერიც უნდა დაირაზმოს ასეთი მნიშვნელოვანი და სასარგებლო პროექტის განსახორციელებლად. სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების აღდგენა და ხალხის სამსახურში ჩაყენება არამარტო მიმზიდველს გახდის აქაურობას, ეკონომიკურადაც შესაძლებელი იქნება გავძლიერდეთ. თუკი მე-6 საუკუნეში ქართველ მეღვინეს თავისი ღვინო საზღვარგარეთ გაჰქონდა, რატომ არ შეიძლება, საკმირისი პროდუქციის მოყვანის შემდეგ მხარეში ღვინის ქარხნებიც აშენდეს და აქაური უნიკალური ჯიშების ვაზისგანაც მივიღოთ კონკურენტუნარიანი ღვინო, რომელმაც ადვილი შესაძლებელია, სათანადო ტექნოლოგიით ჩამოსხმისას მსოფლიო ბაზარზეც დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი.

თემურ ხუხუნაიშვილი,

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ მიწობში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

“ჭაბურღილის მშენებლობა, მიწობში, წყლის პრობლემას მოაგვარებს რაც, ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პირობებს მკვეთრად გააუმჯობესებს. ჭაბურღილის მოსაწყობად ტენდერები ცხადდება დიდ და პატარა ბეკამში, პროექტირება იწყება ჩუმათელეთში და ქემფერში. ”-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა ადგილზე სამუშაოების დათვალიერებისას. მერთან ერთად, სოფელ მიწობში იმყოფებოდა მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი, მისი განმარტებით, სამუშაოებს, სოფლის პროგრამა და ადგილობრივი ბიუჯეტი ერთობლივად აფინანსებს და ღირებულება 91 812 ლარს შეადგენს.

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6.)

კომუნისტური სალმით კონფერენციის პრეზიდიუმი“.

17 დეკემბერს „ახალი კომუნისტი“ აქვეყნებს მისალმებაა საბჭოთა სომხეთისადმი:

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ხაშურის რაიონული კონფერენცია, რომელიც შეიკრიბა 2 დეკემბერს, სალამს უძღვნის სომხეთის მშრომელ ხალხს, რომელმაც ალღო აუღო დაშნაკურ მოღალატურ პოლიტიკას და თვით იკისრა თავის საქმის გაძღოლა.

დიდება და სახელი სომხეთის მშრომელ ხალხს, რომელიც შედის წევრად საბჭოთა დიდ ოჯახში.

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთის მშრომელ ხალხს!“

1920 წლის 7 ივლისს ხაშურის რაიონისა და ცემის საზოგადოების ოსურმა მოსახლეობამ მთავრობის თავმჯდომარის სახელზე შემდეგი შინაარსის განცხადება გააკეთეს:

„ჩვენ, ზემო არნიშნულ რაიონების მცხოვრებნი, ვაცხადებთ, რომ არავითარი დამოკიდებულება არა გვაქვს და არც გვქონია მთის ოსეთის აჯანყებასთან, პირიქით, გადაჭრით ვკიცხავთ მათ და ამ აჯანყებას დამღუპველად ვსთვლიდით ოსი ხალხისათვის ჩვენ, ოსები იმდენად გავითქვიფეთ ქართველი ხალხის მასასთან, რომ ჩვენსა და ქართველებს შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არის. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მათი გამოსვლის დროს ჩვენც გამოგვიგზავნეს აგიტატორები, რომლებიც ასაჯანყებლად მოგვიწოდებდნენ, მაგრამ მაშინ ჩვენი რაიონების ოსები არ გაყვნენ ბნელ ელემენტებს. თუმცა ბანდებმა თავისი მოქმედება ჩვენს რაიონში გადმოიტანეს, მაგრამ მშვიდობიანმა ოსმა მოსახლეობამ არა თუ მიიღო ამაში მონაწილეობა, არამედ თვით დაზარალდა მათგან და ახლა სასუსათო კრიზისს განიცდის. ვაცნობთ რა ამის შესახებ მთავრობას ჩვენ იმედი გვაქვს რომ შეძლებას მოგვცემენ განვაგრძოთ მშვიდობიანი მუშაობა და ჩვენ ჩვენის მხრით გეფიცებით პატიოსნებასა და სინდისს, რომ მთავრობის ყველა მოთხოვნილებას სისწორით ავასრულებთ“.

20 ივლისს ხაშურის მუშათა კლუბში გამართულ საჯარო კრებაზე მოხსენებით „საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა“, გამოვიდა დამფუძნებელი კრების წევრი ისიდორე რამიშვილი. მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და თავის არსებობის ხანაში მან გამოიარა მრავალი ჭირ-ვარამი, ხოლო ფეოდალური წესწყობილების უკიდურესი განვითარების გამო იგი დაირღვა, როგორც მთლიანი ორგანიზმი და იძულებული იყო შეერთებოდა რუსეთს. ასი წლის განმავლობაში რუსეთის დემოკრატიასთან ერთად იბრძოდა თვითმპყრობელობის დასამხობად და დემოკრატიზმის გასამტკიცებლად, მაგრამ რუსეთის სტიქიურმა მოძრაობამ, მოვლინებულმა ბოლშევიზმის სახით, ძირი გამოუთხარა თებერვლის რევოლუციის დიად ლოზუნგებს და ფეხქვეშ გასთელა პრინციპი რევოლუციონური მარქსიზმისა-დემოკრატიზმის საშუალებით სოციალიზმისაკენ. საქართველოს დემოკრატიას, როგორც ბრძოლაში გაწვრთნილს, არ შეეძლო ექსპერიმენტების გზით ეწარმოებინა თავისი პოლიტიკა. ამისთვის მან დამოუკიდებლობის აღაირებით უარყო რუსული აღმოსავლეთური პოლიტიკა და შეუდგა საერთაშორისო მუშათა კლასთან ერთად საკაცობრიო ბრწყინვალე მომავლისაკენ გზის გაკაფვას. მან მოიწვია დამფუძნებელი კრება და ამით განახორციელა თებერვლის რევოლუციის ნაანდერძევი ლოზუნგი, შექმნა სოციალისტური მთავრობა და შეუდგა აღმშენებლობით მუშაობას.

კრება ესალმება დამფუძნებელ კრებას და მის მიერ არჩეულ მთავრობას და ულოცავს მას ბათუმის და მისი ოლქის, ამ რევოლუციის აკვანის შემოერთებას.

კრება ავალებს მთავრობას სასტიკი ზომების მიღებას იმ მტერთა წინააღმდეგ, რომელთა მოქმედება ძირს უთხრის დემოკრატიის პოლიტიკურ ბატონობას ე.ი. ბოლშევიკების წინააააღმდეგ. თავის მხრივ ხაშურის მუშათა კლასი კვლავინდებურად დამფუძნებელ კრებასა და მთავრობასთან იქნება და იბრძოლებს, სანამ საქართველოს მუშათა კლასს შერჩენია ერთი მეომართაგანი“.

1919 წლის გაზაფხულზე სდმპ ხაშურის ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მუშაობის რეორგანიზაცია. „ვინაიდან კომიტეტს ვადა უთავდებოდა მუშაობისა და მეორე მხრივ ხაშურის ორგანიზაცია, რომელიც აკავშირებს 700 წევრს, ვერ აწარმოებდა ისეთ ნაყოფიერ მუშაობას ძველი სისტემით, როგორც ეს დღევანდლამდე მიდიოდა. ამიტომ მისმა ხელმძღვანელმა კომიტეტმა გადაწყვიტა მოეხდინა კომიტეტის რეორგანიზაცია და ორგანიზაციული მუშაობა ახალ იაჩეიკურ სისტემაზე მოეწყო“.

20 ივნისს წევრთა კრებამ „კომიტეტის მუშაობისა და მოქმედების შესახებ“ მიიღო რეზოლუცია: „კომიტეტმა გააკეთა რის გაკეთებაც შესაძლო იყო არსებულ პოლიტიკურ მომენტში. კომიტეტს ჰქონდა დეფექტები თავის მუშაობის დროს, რომელიც გამოწვეული იყო ობიექტური პირობებით და გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, იწონებს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, ამტკიცებს წარმოდგენილ ანგარიშებს“.

კრებამ დაამტკიცა „... ორგანიზაციის მომავალი სამოქმედო ინსტუქცია“ და აირჩია დროებითი საორგანიზაციო კომისია, რომელსაც „დაევალა „იაჩეიკების“ მოწყობა და შემდეგ კომიტეტის შედგენა“. კომისიაში არჩეული იქნენ ი. თელია, ცაგურია და გ. შარაბიძე.

17 ივლისს შედგა ახლადარჩეული კომიტეტის სხდომა, რომელმაც მოისმინა დროებითი საორგანიზაციო კომისიის მოხსენება გაწეული მუშაობის შესახებ. აღინიშნა რომ ხაშურში შემდგარია 7 „იაჩეიკა“ და ინსტრუქციის ძალით თითოეულ „იაჩეიკას“ „შეუძლიან გამოაგზავნოს ხელმძღვანელ კომიტეტში თითო წარმომადგენელი ყოველ 50 კაცზე“. ამის მიხედვით კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ: I იაჩეიკიდან – მეყანწიშვილი და თ. სხილაძე, II იაჩეიკიდან – ი. თელია, III-დან – მ. ჭყონია, გაგნიძე, IV-დან – მ. მარიამიძე, შათირიშვილი, V-დან – ვ. ბასილაშვილი, VI-დან ვ. მიქაძე, VII-დან – თალაკვაძე.

ამავე სხდომაზე არჩეული იქნა კომიტეტის პრეზიდიუმი მ. მარიამიძის (თავმჯდომარე), მ. ჭყონიას (მოადგილე), ი. თელიას (მოლარე) და ვ. ბასილაშვილის (მდივანი) შემადგენლობით.

შეიქმნა კომისიები: საფინანსო (მ. ჭყონია, ვ. მიქაძე, თალაკვაძე), საორგანიზაციო (სხილაძე, მეყანწიშვილი, ცაგურია), საგამოძიებლო (ი. თელია, შათირიშვილი, გაგნიძე) პასუხისმგებელ კორესპონდენტად აირჩიეს ვ. მიქაძე.

შეიქმნა პროპაგანდისტთა კოლეგია ვარ. მიქაძის, გ. მარიამიძისა და ალ. ასკურავას შემადგენლობით.

არჩეულმა კომისიებმა მთელი რიგი სამუშაოები გასწიეს. საფინანსო კომისიამ კომიტეტის მატერიალური მდგომარეობის გასაძლიერებლად „მოაწყო წარმოდგენა, რომელსაც დიდძალი ამხანაგები დაესწრო.“ საორგანიზაციო კომისია „შეუდგა წევრთა სარეგისტრაციო ახალი წიგნის შედგენას „იაჩეიკების მიხედვით.“ საწევრო გადასახადი გადიდდა სამ მანეთამდე თვეში.

„პარტიულ მუშაობას მუშები დიდი ენერგიით და ხალისით ეკიდებიან. ისინი მზად არიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ დამოუკიდებლობის და რევოლუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად. ის ხმები, ვითომდა ხაშურის მუშებმა „ბალშევიზმა“ იჩინა თავი, ვითომდა ისინი არ იზიარებენ სახელმწიფოს ხელმძღვანელ პარტიის ტაქტიკას და მოქმედებას, მტკნარი სიცრუეა, ჩვეულებრივი დემაგოგიაა.

თუ ბალშევიზმი რუსეთში დემაგოგიის საშუალებით იდეურ მოწინააღმდეგედ ხშირად ამარცხებდა, ამას ვერას დროს ვერ მიაღწევს იგი ჩვენში“.

დამოუკიდებლობის წლებში ხაშურში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს საციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

1919 წლის 20 ივნისისთვის ორგანიზაციაში ირიცხებოდა 503 წევრი, საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული იქნა 93 ახალი წევრი, ხოლო 1920 წლის 1 ივლისისათვის ორგანიზაციაში ირიცხებოდა 555 წევრი. აქედან ქალი იყო 30. განათლების თვალსაზრისით წერა-კითხვის მცოდნე იყო 475, წერა-კითხვისს არ მცოდნე 70, ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით ორგანიზაციაში ქართლი იყო 531, რუსი – 1, სომეხი – 7; ოსი – 3, ფრანგი – 3, ჩეხი – 1, ბერძენი -1.

ორგანიზაციას ჰქონდა 7 პირველადი ორგანიზაცია („იაჩეიკა“, რომლებშიც გაერთიანებულნი იყვნენ საქმიანობის ხასიათისა და პროფესიების მიხედვით. კერძოდ, რკინიგზის დეპოს ორგანიზაციაში ირიცხებოდა 122 წევრი, რკინიგზის მემანქანეთა ორგანიზაციაში – 55, ლიანდაგის მოსამსახურეთა ორგანიზაციაში– 73; სადგურის მომსახურეთა ორგანიზაციაში – 80, კონდუქტორთა ორგანიზაციაში – 145; ხაშურის დაწესებულებებში მომუშავეთა ორგანზიაციაში – 39 და ქალთა ორგანიზაციაში – 30; ყველა პირველად ორგანიზაციას ჰყავდა თავისი ხელმძღვანელი ბიურო, რომლებიც აწარმოებდნენ ორგანიზაციულ საქმიანობას.

სდმპ ხაშურის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა რაიკომი. 1919 წლის 20 ივნისს რაიკომის შემადგენლობაში შევიდნენ თ. სხილაძე, კ. მეყანწიშვილი, თ. თელია, მ. ჭყონია, პ. გაგნიძე, მ. მარიამიძე, ი. შათირიშვილი, ვ. ბასილაშვილი, ტრ. ცაგურია, ვ. მიქაძე და დ. თალაკვაძე.

რაიკომის პრეზიდიუმში შედიოდნენ მ. მარიამიძე (თავმჯდომარე), მ. ჭყონია (მოადგილე), ვ. ბასილაშვილი (მდივანი), ტრ. ცაგურია (ხაზინადარი),

შექმნილი იყო კომისიები: საორგანიზაციო (კ. მეყანწიშვილი, ტრ. ცაგურია, თ. სხილაძე), საფინანსო (მ. ჭყონია, ვ. მიქაძე, დ. თალაკვაძე), საგამომძიებლო (ი. თელია, ი. შათირიშვილი, პ. გაგნიძე) და საპროპაგანდო კოლეგია (მ. მარიამიძე, ასკურავა. ან. ბიბილოვი).

სდმპ მნიშვნელოვან პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა. კომიტეტის მიერ რაიონში ეს საქმიანობა დავალებული ჰქონდა ან. ბაბილოვს, რომელმაც მთელ რიგ სოფლებში (გომი, წრომი, ატოცი და სხვა) ჩამოაყალიბა პარტიული ორგანიზაციები.

კომიტეტი ასევე მნიშვნელოვან იდეოლოგიურ მუშაობას ეწეოდა. ამ მიზნით ხაშურში ეწყობოდა „საზოგადო კრებები“, რომელზეც მოხსენებებით გამოდიოდნენ როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული პარტიული ხელმძღვანელები. ასე მაგალითად ნ. იმნაიშვილმა წაიკითხა მოხსენება - „დამფუძნებელი კრების მუშაობა“. ისიდორე რამიშვილმა და ნოე რამიშვილმა „თანამედროვე მომენტის შესახებ“, გ. ფოფხაძემ - „როგორი უნდა იყოს საქართველოს მუშათა კლასისი დღევანდელი ტაქტიკა“, შალვა მხეიძემ „საბჭოთა რუსეთის ცხოვრებიდან“. ნოე რამიშვილმა „სოციალური რევოლუცია და მუშათა დიქტატურა“ და სხვა.

ასეთივე მუშაობა სწარმოებდა პირველად ორგანიზაციებშიც. ი. თელიამ ქალთა ორგანიზაციაში წაიკითხა ლექცია „ქალთა მდგომარეობის შესახებ“, ლიანდაგის დარგის მუშაკთა ორგანიზაციაში მ. მარიამიძემ წაიკითხა „მუშაკთა პროფესული კავშირების

(გაგრძელება V გვერდზე)

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება)

მნიშვნელობა“, „დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა“, რკინიგზის დეპოს ორგანიზაციაში ან. ბაბილოვს წაუკითხავს „ბალშევიზმი და მენშევიზმი“ (3-ჯერ).

კომიტეტი იდეოლოგიურ მუშაობას ეწეოდა სოფლებშიც: „კვირა-უქმე დღეებში აწყობდა სხვადასხვა სოფლებში ყრილობებს, სადაც კომიტეტის მიერ გაგზავნილი მახანაგები აკეთებდნენ მოხსენებებს მომენტზე, უხსნიდნენ რესპუბლიკის მდგომარეობას, ბოლშევიზმის მნიშვნელობას და მის მიერ გამოწვეულ ძმათა შორის სისხლის ღვრის საშინელებას და მოუწოდებდნენ მათ (სოფლის მოსახლეობას – თ.ლ.) წესიერებისა და სიმშვიდისაკენ“.

როგორც ანგარიშიდან ჩანს, ორგანიზაციაში ნაკლებად იყო წარმოდგენილი ინტელიგენცია, რაც უარ - ფით გავლენას ახდენდა მუშაობაზე ამასტან დაკავშირებით ანაგრიშში აღნიშნულია: „სამწუხაროდ კომიტეტის იდეურ მუშაობაში დისონანსი შეჰქონდა კომიტეტის განკარგულებაში ინტელიგენტური ძალების უყოლობას“.

კომიტეტს საანგარიშო პერიოდში მოუწყია 2 სადღესასწაულო (ანტანტის მიერ საქართველოს რესპუბლიკის „დე ფაქტოდ“ აღიარებისა და ბათუმის და მისი ოლქის გადმოცემის გამო) და ერთი საპროტესტო დემონსტრაცია (ბათუმის „პორტო-კრანკოთ“) გამოცხადების გამო)

კომიტეტი ეწეოდა საგამომცემლო საქმიანობასაც. გამოსცა გიმნაზიის მასწავლებლის თეიმურაზ ჭუმბურიძის ბროშურა „კრიტიკული ანუ მეცნიერული სოციალიზმი“.

1920 წლის 19 აგვისტოს გაიმართა სდმპ ხაშურის ორგანიზაციის საანგარიშო კრება. კომიტეტის მოქმედების წლიური ანგარიშით გამოვიდა მ. მარიამიძე. „მოხსენებიდან ირკვევა, რომ წარსული წლის კომიტეტის მუშაობასთან შედარებით წრევანდელ კომიტეტს დიდი ნაბიჯები გადაუდგამს, როგორც იდეურის, ისე ფინანსურის მხრივ“[623] -აღნიშნავს გაზეთი „ერთობა“.

სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ნ. სიხარულიძემ, რომელმაც თავის მხრივ დაადასტურა კომიტეტის მიერ წარმოდგენილი მოხსნება მხოლოდ „მიუთითებს მის ერთ დიდ ნაკლზე, რომელიც მდგომარეობს სოფლად უმოქმედობაში, რაც მომავალში უნდა გამოსწორებული იქნას“.

კრებამ დამაკმაყოფილებლად ჩათვალა კომიტეტის მუშაობა.

კრებაზე არჩეული იქნა კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელშიც შევიდა 16 წევრი, აქედან 12 არჩეული იქნა „იაჩეიკების“ მიერ, ხოლო 4 აირჩია კრებამ. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ ს. ბაბლიძე, დ. სხილაძე, კვინიკაძე, დ. ჩიკვაიძე, ბერაძე, მ. მარიამიძე, გ. შათირიშვილი, გოგოლაძე, ა. მაჭარაშვილი, ხაჭაპურიძე, ი. ყაჭეიშვილი, ბზიევა, შ. მხეიძე, ნ. პატარიძე, ი. თელია.

საარჩევნო კომისიაში აირჩიეს შ. ხელაძე, ნ. მიქაძე და გ. მელიქაძე.

1920 წლის 21 ნოემბერს სდმპ გორის სამაზრო კომიტეტის სხდომაზე განიხილეს რეგიონში შექმნილი მდგომარეობა. ადგილებიდან მოსმინეს ინფორმაციები. ხაშურდან ინფორმაციით გამოვიდა არ. ხუნდაძე, რომელიც შეეხო პარტიულ მუშაობას, როგორც ქალაქად, ასევე სოფლად, აღნიშნა, რომ „ხაშურის რაიონში მუშაკთა სიმცირის გამო ვერ ხერხდება პარტიული მუშაობის გაფართოება“ ამის შედეგია, - აღნიშნავდა იგი, -თემში საუბნო ორგანიზაციების მოუწყობლობა; სამაგიეროდ „ქალაქში მუშაობა კარგად მიმდინარეობს“ მიუთითებდა, რომ „ჩვენი პარტიული მუშაობა არის თანამედროვე მომენტიდან შეწონილი...“

სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო „ფრონტის დამხმარე კომიტეტების დაარსების და მათ დახმარების“ საკითხს, რაზეც ისაუბრეს რეგიონებიდან თითქმის ყველა წარმომადგენელმა. ისინი მიუთითებდნენ იმ აუცილებლობაზე, რომ საჭირო იყო „მთელ პარტიული ძალების“ მობილიზება „ფრონტის დახმარების მოსაწყობად“.

დადგენილებაში აღნიშნულია: „მომენტის შესახებ მოისმინა რა მოხსენება ვასო ცაბაძისა, კრება უკანასკნელ სისხლის წვეთამდე თავის და ხალხის ამორჩეულ დამფუძნებელ კრებასთან და მთავრობასთან იქნება“.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ეს თქვენ გაინტერესებდათ

რამდენი გენერალისიმუსია მსოფლიოში?

არც თუ იშვიათად, განსაკუთრებით მამაკაცებში, ხშირად იმართება კამათი ისეთ თემებზე, რომლის საქმის კურსში თითქმის არავინაა და მავანი არასწორ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ცდილობს თავისი „ცოდნის“ გამომზეურებას, აღნიშნულს კი არც მეტი, არც ნაკლები, დილეტანტიზმი ჰქვია.

სამხედრო ტერმინოლოგიაში, ე.წ. „გათვითცნობიერებულები“ ერთხმად ამტკიცებენ, რომ გენერალისიმუსის უმაღლეს სამხედრო წოდებას მსოფლიოში მხოლოდ 3-4 კაცი ფლობდა. ამ დროს, აზრზე არ არიან, აღნიშნული წოდება რას ნიშნავს, სად, როდის მიენიჭა პირველად ცნობილ სამხედროებს, მსოფლიოში რამდენს მიენიჭა და ა.შ.

ამდენად, გავითვალისწინე რა ყოველივე აღნიშნულისადმი დიდი ინტერესი, შევეცადე, ისტორიული დოკუმენტებისა და ადრეულ საუკუნეებში გამოცემულ ლიტერატურას, სხვადასხვა მიმართულების ენციკლოპედიებს გავცნობოდი და ღრმად შემესწავლა უმაღლესი სამხედრო წოდების დაწესების, მინიჭების, რაოდენობის და ა.შ. სხვა მრავალი ფაქტები.

მაშ ასე, დასმულ კითხვაზე - როდის დაწესდა, რას ნიშნავს აღნიშნული სამხედრო წოდება, რა შემთხვევაში, რა დამსახურებისათვის ენიჭებათ გენერალისიმუსის უმაღლესი სამხედრო წოდება, - გთავაზობთ შესაბამის ინფორმაციას.

ჩან კაიში

„გენერალისისმუსი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ყველაზე მთავარს. სიტყვა გენერალისიმუსი სამხედრო წოდებათა ისტორიაში მსოფლიოში პირველად შემოღებული იქნა საფრანგეთში 1569 წელს. როდესაც საფრანგეთის მეფემ კარლ მეცხრემ უმაღლესი სამხედრო წოდება მიანიჭა თავის 18 წლის ძმას, რომელიც შემდეგ მეფე ჰენრიხ მესამედ იწოდებოდა (ჰერცოგი ან ჟუისკი).

გენერალისიმუსის უმაღლესი სამხედრო წოდება ენიჭებოდა ისეთ მ ხ ე დ ა რ თ მ თ ა ვ რ ე ბ ს, რომლებიც ორ ან მეტ არმიას სარდლობდა და სამხედრო მოქმედებათა შემდეგ გამარჯვებას აღწევდნენ.

გარდა მეფე ჰენრიხ მესამისა, საფრანგეთში გენერალისიმუსის წოდება დაიმსახურეს ჰერცოგმა დე გიზიმ (1550 – 1588 წწ), პრინცმა ლ. კონდემ (1621 – 1688 წწ), ჰერცოგმა ლ. ვილარმა (1653 – 1734 წწ), ჰერცოგმა ა.რიშელიემ (1696 – 1788 წწ).

ავსტრიაში გენერა-ლისიმუსის წოდება მიენიჭათ თავად რ. მონტეკუკოლს (1609 – 1680 წწ), პრინც ე. სავოიელს (1663 – 1736 წწ), გრაფ ლ. დაუნს (1705 – 1766 წწ) ერც-ჰერცოგს კარლოსს (1771 – 1847 წწ), თავად კ. შვარცენბერგს.

ჰერცოგი დე გიზი

გერმანიაში აღნიშნული წოდება დაიმსახურა გრაფმა ა. ვალშტეინმა (1583 – 1634 წწ).

რუსეთში გენერა-ლისისმუსის სამხედრო წოდება შემოღებულ იქნა პეტრე პირველის მიერ, რომელმაც აზოვზე ბრძოლებისთვის, 1696 წლის 28 ივნისს, გენერალისიმუსის წოდება მიანიჭა ვოევოდ ა.ს. შეინს (1662 – 1700 წწ), აღნიშნული წოდება რუსეთში ოფიციალურად გაფორმდა 1716 წელს.

1727 წლის 12 მაისს, ეს წოდება მიენიჭა ა.დ.მენშიკოვს (1673 – 1729 წწ), 1740 წლის 11 ნოემბერს, პრინც ანტონ ულრიხ ბრაუნშვეისკის (1714 – 1774 წწ), ხოლო 1799 წლის 28 ოქტომბერს, რუსეთის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს მხედართმთავარს ა.ვ.სუვოროვს, (1729 – 1800 წწ), გენერალისიმუსის წოდება ასევე მინიჭებული ჰქონდა ფრანკოს (ესპანეთი) და ჩანკაიშს (ძიან-ძეში-ჩინეთი).

დიდ სამამულო ომში (1941 – 1945 წწ) ფაშისტურ გერმანიაზე ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ, სსრკ-ში 1945 წლის 26 ივნისს დაწესდა სსრ კავშირის გენერალისიმუსის უმაღლესი სამხედრო წოდება.

1945 წლის 27 ივნისს ეს მაღალი სამხედრო წოდება მიენიჭა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს, ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალს იოსებ ბესარიონის - ძე სტალინს.

ისტორიულად არსებული დოკუმენტების საფუძველზე დაყრდნობით, მსოფლიოში სულ ცნობილია აღნიშნული სამხედრო წოდების მქონე 30 -მდე პიროვნება, თუმცა არაოფიციალური მონაცემებით, მათი რაოდენობა უფრო მეტი უნდა იყოს.

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტურისტული ღირსშესანიშნაობანი. სურამის კვირაცხოვლის ტაძარი.

მუნიციპალიტეტში, დღეისათის, 18 საბავშვო ბაღიდან 17 სრულად ფუნქციონირებს

(დასასრული)

–ამ ეტაპზე სარეაბილიტაციო სამუშაოები არც ერთ ბაღში არ მიმდინარეობს, თუმცა, უახლოეს მომავალში იგეგმება დამატებით 3 ბაღის მშენებლობა.

–თქვენი როგორც ბაღების გაერთიანების მმართველის, ყველაზე დიდ გამოწვევად რას თვლით?

–ჩემთვის როგორც გაერთიანების მმართველისთვის, ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება განათლების მიმართულებით განსახორციელებელი ძალიან ბევრი ეტაპი. ვთვლი, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები კიდევ უფრო მაღალ.სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს, რისთვისაც მუდმივი გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლებაა საჭიროა. ამ მიმართულებით დაგეგმილი მაქვს ბევრ ორგანიზაციასთან ურთიერთობა, რაც საბოლოო ჯამში მოგვცემს იმ.შედეგს,რომ ჩვენ გვეყოლება თანამედროვე სტანდარტებით გადამზადებული თანამშრომლები.

–როგორც ვიცი, წელს გაზრდილია ბიუჯეტი. რა მიმართულებით მოხდება გადანაწილება?

–გაზრდილი ბიუჯეტი რამოდენიმე მიმართულებით გადანაწილდა. პირველ რიგში, მოხდა თანამშრომელთა ხელფასების ზრდა,განისაზღვრა აღმზრდელთა გადამზადებისათვის საჭირო თანხები და სხვა.

–ცვლილებები, რომლის განხორციელებაც იქნება თქვენი მიზანი და დიდი სურვილი?

–რაც შეეხება ჩვენს სამომავლო გეგმებსა და მიზნებს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს ინიციატივით, იგეგმება 3 ახალი ბაღის მშენებლობა და ჩვენი სამომავლო მიზნები, სწორედ ამ პროცესების დროული და ეფექტური მართვა იქნება. ვისურვებდი, რომ ინფრასტრუქტურის მიმართულებით,ჩვენი საბავშვო ბაღები მალე მიუახლოვდეს ევროპულ სტანდარტებს.

თ. ჯავახიშვილი

სოციალურად დაუცველი პირების, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამა დაიწყო

პროგრამის ბენეფიციარები,18 წლის და უფროსი ასაკის,შრომისუნარიანი პირები არიან, ვისი ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს და იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას.

დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს, 4 წლის განმავლობაში, სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი სიკეთეები გარანტირებულად შეუნარჩუნდება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ მოხდება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გადამოწმება.

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართული ბენეფიციარები, სოციალურ დახმარებასთან ერთად, დამატებით ფინანსურ სარგებელსაც მიიღებენ, რომელიც ნამუშევარი საათების მიხედვით ანგარიშდება და 300 ლარს შეადგენს. საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებისთვის გაცემული თანხა წარმოადგენს სოციალურ გასაცემელს, რომელიც არ იბეგრება.

საზოგადოებრივი სამუშაო ისეთ ვაკანტურ ადგილზე დასაქმებას გულისხმობს, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია. სამუშაოს მომწოდებლები კი სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობები არიან.

საზოგადოებრივი სამუშაოების ფარგლებში, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში,ამ ეტაპზე, 14 382 ვაკანსიაა. ახალი ვაკანსიების რეგისტრაცია კი მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

დასაქმების პროგრამაში ჩასართავად, ბენეფიციარებს შეუძლიათ მიმართონ სოციალური მომსახურების ან დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრებს http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=18

თუ სოციალურად დაუცველ პირს დასაქმება არ სურს,მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტატუსის განსაზღვრა ყოველწლიური გადამოწმების შედეგების საფუძველზე მოხდება. თუმცა მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ნებისმიერ დროს შეეძლება.

პროგრამაში ჩართვის მსურველებს, დამატებითი ინფორმაციისთვის, სამინისტროს ცხელ ხაზზე - 15 05 დაკავშირება შეუძლიათ.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.